16/11/2018

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ადმინისტრაცია მიიღო

ა.წ. 16 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ადმინისტრაციას შეხვდა. მისმა უწმინდესობამ დალოცა ორგანიზაციის ხელმძღვანელი და თითოეული წარმომადგენელი და მადლობა გადაუხადა მათ იმ ჰუმანიტარული და სოციალური საქმიანობისათვის, რასაც ისინი ეწევიან ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ წელს საქართველოს წითელ ჯვარს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. დღეისათვის ამ ორგანიზაციას 2500 მოხალისე ჰყავს და აქტიურად ეხმარებიან უმწეო ადამიანებს.